თეთრი ხელჯოხის ისტორია

იცი, რა დანიშნულება აქვს თეთრ ხელჯოხს? წაიკითხე ტექსტი და გაიგებ საინტერესო ისტორიას თეთრი ხელჯოხის შესახებ.

თეთრი ხელჯოხის ისტორია 1921 წლიდან იწყება. ინგლისის მოქალაქე ჯეიმს ბიგსმა უბედური შემთხვევის გამო მხედველობა დაკარგა. ამის შემდეგ ქუჩაში ხის ხელჯოხით დაიწყო სიარული. მაგრამ ვერავინ ხვდებოდა, რომ ის უსინათლო იყო. ამიტომ არც მანქანა უთმობდა გზას. არც არავინ ეხმარებოდა. მაშინ ბიგსმა ხელჯოხი თეთრად შეღება. ასე უფრო ადვილად მიიქცია სხვების ყურადღება. სწორედ ამის შემდეგ გახდა თეთრი ხელჯოხი უსინათლო ადამიანის სიმბოლო. თუმცა ის არ არის მხოლოდ სიმბოლო. ხელჯოხი უსინათლოს სიარულის დროს ძალიან ეხმარება. ხელჯოხის შეხებით იგი ხვდება, სად დგას სახლი, ხე, ბოძი... ხელჯოხის სრიალით კი იგებს, სად არის კიბე, ორმო, გუბე და სხვ.

რამდენიმე ათეული წელია, რაც მსოფლიო თეთრი ხელჯოხის დღეს აღნიშნავს. ეს დღეა 15 ოქტომბერი. იგი 1964 წელს აშშ-ში **დაწესდა**. მომდევნო წლებში მას ბევრი ქვეყანა შეუერთდა. მათ შორის არის საქართველოც.

თეთრი ხელჯოხის დღე არ არის საზეიმო. მას ერთი მთავარი მიზანი აქვს. ყველას შეახსენოს, რომ უსინათლო ადამიანებს ჩვენი ყურადღება სჭირდებათ. ამ დღეს **ეწყობა** მრავალი შეხვედრა. ტარდება ლექციები, გადის ტელეგადაცემები. იწერება სტატიები მათი საქმიანობის, წარმატებისა თუ პრობლემების შესახებ.

რა გასწავლა ამ ტექსტმა?

კომპონენტი: *მიზეზი, შედეგი,* **დონე:** *3.1*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 უსინათლო ბიგს ჩვეულებრივი ხელჯოხით სხვებისაგან ვერ ასხვავებდნენ, ამიტომ:

ა) მან ადამიანებს აუხსნა თავისი პრობლემა.

ბ) მან თავისი ხელჯოხი თეთრად შეღება.

გ) მან თეთრი ხელჯოხის დღე დააწესა.

2 ადამიანებმა უსინათლოთა პრობლემებზე ფიქრი დაიწყეს მას შემდეგ:

ა) რაც ბიგსის მხედველობის დაკარგვის ამბავი გაიგეს.

ბ) რაც ბიგსმა ხელჯოხით დაიწყო ქუჩაში სიარული.

გ) რაც დაწესდა თეთრი ხელჯოხის მსოფლიო დღე.

3 რა შედეგი მოიტანა თეთრი ჯოხის დღის აღნიშვნამ?

ა) ადამიანებმა უკეთ გაიგეს უსინათლოთა საჭიროებები.

ბ) ადამიანებმა ფრთხილად დაიწყეს ქუჩებში სიარული.

გ) ადამიანებმა ხელჯოხების თეთრად შეღებვა დაიწყეს.

4 რა <u>არ ჩანს</u> ტექსტში?

ა) რატომ აღნიშნავენ თეთრი ხელჯოხის დღეს მთელ მსოფლიოში.

ბ) რის გამო ითვლება თეთრი ხელჯოხი უსინათლოების სიმბოლოდ.

გ) რომელი წლიდან აღნიშნავენ საქართველოში თეთრი ხელჯოხის დღეს.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. უსინათლოთა დღე ამერიკაში **დაწესდა.**

   ა) აღინიშნება. ბ) დადგინდა. გ) მოეწონათ.

2. თეთრი ხელჯოხის დღეს **ეწყობა** მრავალი შეხვედრა.

   ა) იგეგმება. ბ) იმართება. გ) იწყება.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ბრძოლა. ბ) გამარჯვება. გ) წარმატება. დ) წინსვლა.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) საზეიმო – სადღესასწაულო.

ბ) ყურადღებიანი – გულგრილი.

გ) წარმატებული – პრობლემური.

გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ბიგსს არავინ ეხმარებოდა, ---------- არ იცოდნენ მისი პრობლემა. ***(რომ / რადგან)***

2. ბიგსმა ხელჯოხი თეთრად შეღება, ---------- სხვებს ყურადღება მიექციათ მისთვის. ***(რათა / რადგან)***

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: ხე – ხეები

1. კიბე – ----------.
2. გუბე – ----------.
3. დღე – ----------.
4. მოქალაქე – ----------.

გრამატიკა

3 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

	[X] *თეთრათ.*	[ ] *თეთრად.*
1.	[ ] ძალიან.	[ ] ძაან.
2.	[ ] მრავალი შეხვედრა.	[ ] მრავალი შეხვედრები.
3.	[ ] მხოლოთ.	[ ] მხოლოდ.
4.	[ ] ტელეგადაცემა.	[ ] ტელე გადაცემა.

წერა

1 **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.**

რა მოხდა? (შედეგი)	რატომ მოხდა? (მიზეზი)
1. ჯეიმს ბიგსმა მხედველობა დაკარგა.	უბედური შემთხვევის გამო.
2.----------	----------
----------	----------
3.----------	----------
----------	----------
4.----------	----------
----------	----------

2 **გაიხსენე რამდენიმე შემთხვევა შენი ცხოვრებიდან. გაგვაცანი, რა მოხდა და რა გახდა ამის მიზეზი. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.**

რა მოხდა? (შედეგი)	**რატომ მოხდა? (მიზეზი)**
1.----------	----------
----------	----------
2.----------	----------
----------	----------
3.----------	----------
----------	----------